<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:496242 Y:4614686
X:480166 Y:4630699
X:480166 Y:4630684
ფადიკო გოგიტიძის ქ.
X:496566 Y:4614195
X:496729 Y:4614115
X:496788 Y:4613974
X:496846 Y:4613892
X:496845 Y:4613613
X:496823 Y:4613608
N
1:6,000

ფადიკო გოგიტიძე

(1916-1940)

პირველი მფრინავი ქართველი ქალი

დაიბადა ქობულეთში. ბავშვობიდან ოცნებობდა ფრენაზე, მეგობრებს ხშირად ეუბნებოდა, ერთხელაც იქნება, მეც გავფრინდები ცაში და ზღვას ზემოდან გადმოვხედავო. მაშინ საფრენოსნო სკოლა ახალი გახსნილი იყო და პილოტებიც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.

დაამთავრა თბილისის საფრენოსნო სკოლა 1936 წელს. როგორც გაზეთი "საბჭოთა აჭარა" 1936 წლის აგვისტოს ნომერში წერდა, ფადიკო გოგიტიძეს საფრენოსნო საქმე ერთ წელში უნდა შეესწავლა: „ერთ წელში უნდა დაუფლებოდა მანქანის მართვას. ერთ წელში უნდა გამხდარიყო მფრინავი... ჯერ ერთი წელი არ იყო მოთავებული, რომ ფადიკო გოგიტიძე უკვე დამოუკიდებლად ფრენდა, დამოუკიდებლად მართავდა ფოლადის შევარდენს, მართავდა საოცარის სიზუსტითა და სილამაზით".

საფრენოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის აეროკლუბში ინსტუქტორად;

დაიღუპა ბათუმში 1940 წელს, 24 წლის ასაკში, საცდელი ფრენისას, ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე.

2013 წელს ბათუმის აეროპორტის შესასვლელთან გაიხსნა მისი ბიუსტი;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ **გიორგი ტყემალაძეს**

შპს „გლობალ დისტრიბუშენ"-ის (ს/კ 431173829) და

შპს „რსედ" -ს (ს/კ 406257633) წარმომადგენლის

ნინო ნიკოლავას

ტელ : 599 85 77 93

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს „გლობალ დისტრიბუშენ" 2015 წლიდან ეწევა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტს და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით. 2022 წლის ივლისის თვეში კომპანია იცვლის ოფისის ადგილსამყოფელს და გადადის აეროპორტთან მდებარე ტერიტორიაზე, სადაც დღეის მდგომარეობითაც ფუნქციონირებს ამავე კომპანიის საწყობი. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია თანამშრომლობს არამხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ უცხოელ კონტრაქტორებთანაც, მიზანშეწონილია, განხორციელდეს აღნიშნული ქუჩის სახელდება და ნუმერაცია, რათა კომპანიის ოფიციალურ მისამართად მიეთითოს შესაბამისი ქუჩის სახელწოდება. დამისამართება ხელს შეუწყობს ასევე კომპანიის თანამშრომლებს და ვიზიტორებს, რადგან დამისამართების არ არსებობის პირობებში, რთულდება სატრასნპორტო საშუალებების (მაგ. ტაქსების) გადაადგილება. ქუჩისთვის სახელწოდების მინიჭებაზე თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე- შპს " რ ს ე დ" (ს/კ 406257633), რასაც ადასტურებს ამავე კომპანიის მიერ გაცემული მინდობილობა და წინამდებარე განცხადება.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. შპს „გლობალ დისტრიბუშენ"-ის მიერ გაცემული მინდობილობა
3. შპს „რ ს ე დ"-ს მიერ გაცემული მინდობილობა
4. სიტუაციური რუქა

შპს „გლობალ დისტრიბუშენ"-ის და შპს „რ ე ს ე დ"-ს წარმომადგენელი

ნ.ნიკოლავა

m/maps/@41.6770328,44.9604231,15.96z
სასურსათო მაღაზ...
რესტორნები
ნახალები საკვები
სასტუმროები
ბენზინგასამართი
Europe St
LLC Aero Expedition
storage & warehousing service, pacing and...
მე-2 საკონტროლო გამშვები პუნქტი/...
Customs Clearance Zone
ლასარე სატვირთო ტერმინალი
Public Illustration
Car rental
Google
18°C Sunny

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0322199124**
თარიღი: **18/07/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "გლობალ დისტრიბუშენის" წარმომადგენლის ნინო ნიკოლავას 2022 წლის 3 ივნისის საქმე #11/032215353-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01222082108**
თარიღი: **27/07/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 18.07.2022 წლის #03-0322199124 (18.07.2022წ. #14-01221992325-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი